



წლიური ანგარიში 2004 „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“

სახელმწიფო ინსტიტუტების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა საქართველოში

შევარდნადის ეპოქის დასასრულმა მნიშვნელოვნად შეცვალა პოლიტიკური ვითარება საქართველოში. კორუფციული, არადემოკრატიული და საზოგადოებრივ ინტერესებზე ნაკლებად ორიენტირებული რეჟიმით უკმაყოფილო საქართველოს მოქალაქეები მოითხოვდნენ ხელისუფლების ცვლილებას. 2003 წლის რევოლუციამ საფუძველი დაუდო ქართველი ხალხის უპრეცედენტო განწყობას, რომ საქართველოს მომავალი მათ თავადვე უნდა განსაზღვრონ.

გასული წლის განმავლობაში ახალმა მთავრობამ წამოიწყო მთელი რიგი მნიშვნელოვანი პოლიტიკური რეფორმებისა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ღრმად სწამს, რომ ამ რეფორმების წარმატებისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად ყველაზე პრიორიტეტულია ქართველი ხალხის ჩართვა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესში. სწორედ ინფორმირებული მოქალაქეები წარმოადგენენ ქმედუნარიანი, დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საფუძველს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ დაარსდა 2000 წლის 7 მაისს. მისი მიზანია კორუფციასთან ბრძოლა საქართველოში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების დამკვიდრების გზით. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ამოცანაა წარმოადგენდეს საქართველოში კორუფციული რეფორმის შესახებ ინფორმაციის უმთავრეს წყაროს, ხელი შეუწყოს ხელისუფლებას და ფართო საზოგადოებას განხორციელონ რეფორმები იმ სექტორებში, რომელებშიც კორუფციაა და დაეხმაროს მათ სხვადასხვა ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და გაძლიერებაში.

აღნიშნული მისიის განხორციელების მიზნით „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ახორციელებს პროგრამულ საქმიანობას, რომელიც მიმართულია კონკრეტულ სექტორებში სტრუქტურული კორუფციის წინააღმდეგ; ხელს უწყობს კორუფციის შესახებ ინფორმაციისა და კორუფციის წინააღმდეგ არსებული კანონმდებლობის ხელმისაწვდომობას ადგილობრივი მოსახლეობისათვის; უზრუნველყოფს ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობას რეფორმაში; დახმარებას უწევს ხელისუფლებას სტრატეგიის შემუშავებაში; ამზადებს მიმდინარე მოვლენებისა და მომავალი რეფორმის ანალიზსა და რეკომენდაციებს საზოგადოებრივი პოლიტიკის შესახებ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ სამდივნო

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ წარმოადგენს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ეროვნულ ბიუროს, რომელიც წარმოადგენს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ ერთადერთ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას და რომელიც ძლიერ გლობალურ კოალიციად აერთიანებს სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესისა და მთავრობის წარმომადგენლებს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ თავისი სამდივნოსა და მსოფლიოში 85-ზე მეტი დამოუკიდებელი ეროვნული ბიუროს მეშვეობით იღწვის, რათა აღმოფხვრას კორუფციის წყარო და საჭიროება, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. საერთაშორისო ასპარეზზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ ავრცელებს ინფორმაციას კორუფციის მავნე შედეგების შესახებ, მოუწოდებს პოლიტიკის ცვლილებისაკენ, ხელს უწყობს მრავალმხრივი კონვენციების იმპლემენტაციას და თვალყურს ადევნებს მთავრობების, კორპორაციებისა და ბანკების მიერ მათ შესრულებას. ეროვნულ დონეზე ფილიალები ხელს უწყობენ ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ზრდას, ახორციელებენ წამყვანი ინსტიტუტების საქმიანობის მონიტორინგს და არაპარტიული პოლიტიკური საშუალებებით მოუწოდებენ საჭირო რეფორმებისაკენ.

პრეს რელიზები

კორუფციის აღქმის ინდექსი 2004

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ „კორუფციის აღქმის ინდექსის“ გამოქვეყნება 2004 წლის 20 ოქტომბერი, თბილისი – 20 ოქტომბერს „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ გამოაქვეყნა 2004 წლის კორუფციის აღქმის ინდექსი, რომელიც ადგენს სახელმწიფოთა რიგითობას იმის მიხედვით, თუ რამდენად კორუმპირებულად აღიქმებიან ამა თუ იმ ქვეყნის საჯარო მოხელეები და პოლიტიკოსები. წელს საქართველომ მიიღო მხოლოდ ორი ქულა (ათიდან), რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველო არის იმ 60 სახელმწიფოთა შორის, რომლებიც დგანან სერიოზული კორუფციული პრობლემების წინაშე.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ათზე მეტი წლის შემდეგაც კი კორუფცია წარმოადგენს საქართველოს წარმატებულ დემოკრატიად გარდაქმნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორს. თუმცა საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საქართველო დგამს პირველ ნაბიჯებს კორუფციის წინააღმდეგ. აღნიშნულ ინდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოსალოდნელია მომავალში მას შემდეგ, რაც ანტიკორუფციული ზომები დაინერგება სამთავრობო პოლიტიკაში. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ დამატებით აქვეყნებს კიდევ ერთი

გამოკითხვის შედეგებს. „გლობალური კორუფციის ბარომეტრი“ ყოველწლიურად აფასებს საზოგადოების მიერ კორუფციის აღქმის ხარისხს და მის დამოკიდებულებას აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის პერსპექტივისადმი.

22-23 ოქტომბერს, კენიის მთავრობისა და „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ ორგანიზებულ „ახალი მთავრობების ანტი-კორუფციულ შეხვედრაზე“, რომელშიც აგრეთვე მონაწილეობდა საქართველოს პრემიერ მინისტრი ბატონი ზურაბ ჟვანია, საქართველო დასახელებულ იქნა, როგორც სახელმწიფო, რომელიც ბევრ სხვა განვითარებად ქვეყნებთან შედარებით დგამს სწრაფ და გადამწყვეტ ნაბიჯებს კორუფციის აღმოსაფხვრელად. ზურაბ ჟვანია, მისი ბრწყინვალე ინტელექტის გამო, რომელიც შერწყმული იყო პიროვნულ გამბედაობასა და პოლიტიკურ მიზანსწრაფულობასთან, უდიდეს სტიმულს წარმოადგენდა პოლიტიკური თუ სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებისთვის მსოფლიოს ყველა კუთხიდან.

“კორუფციის აღქმის ინდექსი” დაფუძნებულია სხვადასხვა წარმომადგენლობითი ორგანიზაციების, ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების, ანალიტიკოსებისა და ბიზნესში მოღვაწე პირების პასუხებზე. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ დასმულ შეკითხვები ეხება სახელმწიფოებრივი და პოლიტიკურ კორუფციის საკითხებს. გამოკითხვა ტარდება ყოველწლიურად. 2004 წელს გამოკითხვა ჩატარდა 146 ქვეყანაში. ის ქვეყნები, რომლებმაც მიიღეს ცხრა ან მეტი ქულა მიჩნეულნი არიან კორუფციის ყველაზე დაბალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნებად. ქვეყნები, რომლებიც ღებულობენ უფრო დაბალ ქულას საჭიროებენ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური ზომების მიღებას.

2004 წლის გლობალური კორუფციის ბარომეტრი

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ 2004 წლის გლობალური კორუფციის ბარომეტრის მიხედვით, საქართველოში აღინიშნება მნიშვნელოვანი ცვლილებები საზოგადოების მიერ მსოფლიოში კორუფციის აღქმის თვალსაზრისით.

საქართველო ძალიან ოპტიმისტურადაა განწყობილი იმის შესახებ, რომ კორუფცია შემცირდება მომავალი სამი წლის განმავლობაში.

2004 წლის 9 დეკემბერი, თბილისი – „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ დღეს საერთაშორისო ანტი-კორუფციული დღის აღსანიშნავად გამოქვეყნებული საზოგადოებრივი აზრის ახალი გამოკითხვის მიხედვით, საქართველომ უდიდესი ნახტომი გააკეთა საზოგადოების მიერ კორუფციის აღქმის თვალსაზრისით. 2004 წლის „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ გლობალური კორუფციის ბარომეტრის მიხედვით, კორუფციის აღმოფხვრის თვალსაზრისით საქართველო წარმოადგენს სამი ყველაზე ოპტიმისტური ქვეყნიდან ერთ-ერთს. შედარებისათვის, უნდა აღინიშნოს, რომ 2003 წლის გამოკითხვის შედეგებით საქართველო იყო ერთ-ერთ იმ სახელმწიფოთაგანი, რომლებიც იდგნენ ამ თვალსაზრისით პესიმისტურ ქვეყანათა სიაში და გამოკითხულთა 55.2% მიიჩნევდა, რომ კორუფციის დონე კიდევ უფრო გაიზარდებოდა.

2004 წლის ბარომეტრი საქართველოში

ბარომეტრის მიხედვით, საქართველოში ყველაზე კორუფციულ ინსტიტუტებად დასახელდნენ (მეტად კორუფციულიდან ნაკლებ კორუფციულისაკენ): 1. პოლიცია, 2. საგადასახადო/საბაჟო, 3. სასამართლო სისტემა, 4. სამედიცინო მომსახურება, 5. პოლიტიკური პარტიები, 6. პარლამენტი - საკანონმდებლო ხელისუფლება/რეგისტრაციისა და საშვის სამსახურები, 7. ბიზნესი – კერძო სექტორი, 8. კომუნალური სამსახური, 9. სამხედრო დაწესებულებები, 10. მედია/არასამთავრობო ორგანიზაციები, და 11. რელიგიური დაწესებულებები.

გამოკითხულ სახელმწიფოთა უმრავლესობაში საზოგადოებამ ყველაზე მეტად კორუმპირებულ ინსტიტუტად პოლიტიკური პარტიები დაასახელა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველების აღქმა პოლიტიკურ პარტიებში კორუფციის შესახებ არ არის იმდენად უარყოფითი, რამდენადაც ბევრ სხვა ქვეყანაში, ქართულ პოლიტიკურ პარტიებს ჯერ კიდევ დიდი გზა აქვთ

გასავლელი, რათა ისინი აღიქმებოდნენ არაკორუმპირებულებად. ამგვარად, მიმდინარე მსჯელობები საქართველოში პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობაზე კვლავაც აქტუალური რჩება.

საქართველოში გამოკითხულთა ნახევარი ძალზე დიდ პრობლემად მიიჩნევს კორუფციას საჯარო სექტორში, თუმცა გამოკითხულთა მხოლოდ 5-10%-მა უპასუხა, რომ მათ ან მათი ოჯახის წევრებს გადაუხდიათ ქრთამი რაიმე ფორმით გასული 12 თვის განმავლობაში.

პოლიცია დასახელდა, როგორც ქვეყნის ყველაზე კორუპირებული ინსტიტუტი. აღსანიშნავია, რომ ბარომეტრის გამოკითხვა საქართველოში ჩატარდა მიმდინარე წლის ივნისში და შესაბამისად, არ ასახავს საქართველოს მთავრობის მიერ ბოლო დროს ჩატარებულ პოლიციის რესტრუქტურისაციის შედეგებს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ მოხარულია აღნიშნოს, რომ საქართველომ არსებით წარმატებებს მიაღწია აღნიშნული სექტორის განვითარებაში გასული თვეების განმავლობაში, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს ნება მოახდინოს მისი ყველაზე კორუპირებული სექტორების, განსაკუთრებით კი პოლიციისა და საგადასახადო სამსახურების, რეფორმირება. მავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ შედარებით ნელი ტემპით ხორციელდება სასამართლო სისტემისა და ჯანდაცვის სექტორის რეფორმირება. პარლამენტმა და აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უნდა გადადგას ნაბიჯები ამ მნიშვნელოვან სფეროებში რეფორმების გასატარებლად.

რა არის გასაკეთებელი?

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობა ოპტიმისტურად უყურებს კორუფციის საერთო დონის შემცირებას, გამოკითხულთა უმეტესობა შემოფთობას გამოთქვამს საქართველოს წინაშე მდგარ ეკონომიკურ პრობლემებთან დაკავშირებით. რესპოდენტთა 99.2%-მა აღნიშნა, რომ სიღარიბე იყო ძალიან ან საკმაოდ დიდი პრობლემა, 99.3%-მა კი განაცხადა, რომ უმუშევრობა იყო ძალიან ან საკმაოდ დიდი პრობლემა, ხოლო 96.4%-მა განაცხადა, რომ პრობლემას წარმოადგენს ინფლაცია.

“გლობალური კორუფციის ბარომეტრი” არის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, რომელიც იკვლევს მოქალაქეების დამოკიდებულებას ანტიკორუფციული ღონისძიებების შედეგების მიმართ. იგი შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს სხვადასხვა ქვეყნებში ხელისუფლებისადმი არსებული ნდობა და მის საფუძველზე გაკეთდეს ქვეყნების შედარებითი ანალიზი. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ “კორუფციის აღქმის ინდექსისგან” განსხვავებით, რომელიც 2004 წლის 20 ოქტომბერს გამოქვეყნდა, ბარომეტრი აქცენტს აკეთებს არა გამოკითხვის დროს არსებულ ვითარებაზე, არამედ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლო წარმატებისადმი ხალხის დამოკიდებულებაზე.

2004 წელს განხორციელებული საქმიანობა: პროექტები

ანტი-კორუფციული ესეების კონკურსი სკოლის მოსწავლეთათვის*

განხორციელების პერიოდი:

1 აგვისტო, 2003 – 1 თებერვალი 2004

დაფინანსების წყარო:

ფონდი “ღია საზოგადოება – საქართველო”

პროექტის მოკლე მიმოხილვა:

აღნიშნულმა პროექტმა სკოლის მოსწავლეებს მისცა შესაძლებლობა გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება კორუფციისა და კანონიერებისადმი, და გაეღრმავებინათ თავიანთი ცოდნა მოწვეულ სტუმრებთან დისკუსიებისა და ამ საკითხზე შემოქმედებითი ესეების დაწერის გზით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ მოაწყო ინტერაქტიული დისკუსიები 600-ზე მეტ სკოლის მოსწავლესთან საქართველოს 19 სკოლაში პოპულარული მომღერლების, მსახიობების, სატელევიზიო პირების და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. დისკუსიების დროს მოსწავლეები და მოწვეული სტუმრები განიხილავდნენ სხვადასხვა სექტორში კორუფციის გავრცელების მიზეზებსა და მასშტაბებს და განიხილავდნენ აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის გზებს. დისკუსიების შემდეგ სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ესეების კონკურსში სამ ძირითად თემაზე: კორუფციის მიზეზები და შედეგები, კორუფციის აღქმა და კორუფციულ გარემოში მოქმედება. საუკეთესო ესეები გამოქვეყნდა ყოველდღიურ გაზეთში “24 საათი” და განთავსდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ვებგვერდზე, ხოლო მათი ავტორები დასაჩუქრდნენ პოპულარული წიგნებითა და ჟურნალებით. აღნიშნულმა პროექტმა ხელი შეუწყო ახალგაზრდებში კორუფციისა და კანონიერების აღქმის ხარისხის და აღნიშნულ საკითხებში მათი ინტერესის გაზრდას და ეფექტური ანტი-კორუფციული პროგრამების განვითარებას სკოლებში.

საქართველოს პოლიციის საარჩევნო განათლება

განხორციელების პერიოდი:

15 თებერვალი, 2004 – 30 აპრილი 2004

დაფინანსების წყარო:

ეუთოს მისია საქართველოში

პროექტის მოკლე მიმოხილვა:

პროექტის მიზანი იყო გაეგრძელებინა დემოკრატიული პრინციპები საქართველოს პოლიციაში და დაეცვა 2004 წლის 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების სამართლიანობა არჩევნების წინა პერიოდში სამიზნე ჯგუფისათვის საერთო საარჩევნო განათლების კამპანიის ჩატარების გზით. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ ჩაატარა 119 ტრენინგ-სემინარი საქართველოს 65 რაიონში (გარდა აჭარის, აფხაზეთისა და სამაჩაბლოსი) 2800-ზე მეტი პოლიციელის მონაწილეობით. აღნიშნული ტრენინგ-სემინარების განმავლობაში პოლიციელები გაეცნენ საარჩევნო უფლებებს და ძირითად საარჩევნო პროცედურებს, პოლიციელთა ვალდებულებებს არჩევნების დროს, დარღვევებისათვის დადგენილ სანქციებს და შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმების სააგენტოს მიერ მომზადებული პოლიციის რეფორმის პროექტის ძირითად მიმართულებებს. ტრენინგ-სემინარების დასრულების შემდეგ მონაწილე პოლიციელებმა შეავსეს ანონიმური კითხვარები. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადდა ანგარიში, რომელიც გაეგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ პოლიციასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

ხსენებულმა პროექტმა საფუძველი ჩაუყარა კონსტრუქციულ თანამშრომლობას არასამთავრობო ორგანიზაციასა და საქართველოს პოლიციას შორის. პროექტის განხორციელების შედეგად 28 მარტის არჩევნებში პოლიციის უკანონო ჩარევის დონე საგრძნობლად შემცირდა. 1999 წლის არჩევნების შემდეგ პირველად ადგილობრივ თუ საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციებს არჩევნების შეფასებებში არ მიუთითებიათ საარჩევნო პროცესში პოლიციელთა ჩარევის არც ერთი ფაქტი.

აჭარის პოლიციის საარჩევნო განათლება

განხორციელების პერიოდი:

1 ივნისი, 2004 – 1 ივლისი 2004

პროექტის მოკლე მიმოხილვა:

დაფინანსების წყარო:

ეუთოს მისია საქართველოში

პროექტი მიზანი იყო გაენათლებინა აჭარის პოლიცია საარჩევნო პროცესისა და მათი როლის შესახებ აღნიშნულ პროცესში, რითაც ხელს შეუწყობდა რეგიონში 2004 წლის 20 ივნისის დაგეგმილი უზენაესი საბჭოს არჩევნების დემოკრატიულად ჩარატებას. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ ჩაატარა 21 ტრენინგი აჭარის ექვსივე რაიონში, რითაც ძირითადი საარჩევნო ინფორმაცია მიაწოდა 650-ზე მეტ პოლიციელს. ტრენინგების დასრულების შემდეგ ორგანიზაციამ შეაგროვა პოლიციელების მიერ შევსებული 513 მკითხვარი, რომლებიც შეიცავდნენ პოლიციელთა მოსაზრებებს არჩევნებში ზოგადად მათი როლის შესახებ. არჩევნების დღეს ორგანიზაციამ განახორციელა 79 საარჩევნო უბნის მონიტორინგი, რათა შეეფასებინა პოლიციელთა მონაწილეობა კენჭისყრისა და ხმების დათვლის პროცესში.

გასული წლების განმავლობაში აჭარის რეგიონი ცნობილი იყო ყველასათვის აშკარა გაყალბებული არჩევნებით, რომელშიც ადგილობრივი მმართველი პარტია „აჭარის დემოკრატიული აღორძინების კავშირი“ და მისი ლიდერი არაკანონიერად ისაკუთრებდნენ ამომრჩეველთა ხმებს. 20 ივნისის არჩევნები იყო პირველი არჩევნები 2003 წლის ნოემბერში ქვეყნის ხელისუფლებისა და მისში აჭარის ადმინისტრაციის შეცვლის შემდეგ. აღნიშნული არჩევნების სამართლიან ჩატარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რეგიონის განვითარებისა და ქვეყნის ახალი ხელისუფლებისადმი აჭარის მაცხოვრებელთა რწმენის დამკვიდრების თვალსაზრისით.

საპარლამენტო ეთიკის კოდექსი

განხორციელების პერიოდი:

1 ივნისი, 2004 – 1 ნოემბერი, 2004

პროექტის მოკლე მიმოხილვა:

დაფინანსების წყარო:

ეუთოს მისია საქართველოში

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ დახმარება გაუწია საქართველოს პარლამენტს პარლამენტის წევრთა ეთიკის კოდექსის შემუშავებაში. ორგანიზაციამ მოიძია სხვადასხვა წყარო – სხვადასხვა ქვეყნის ეთიკის კოდექსები და სხვა დამხმარე მასალები – და მიაწოდა აღნიშნული დოკუმენტები პარლამენტის წევრებს ეთიკის კოდექსის მომზადებაში ხელშეწყობის მიზნით. თქმული საქართველომ აგრეთვე შეასრულა პარლამენტის კონსულტანტის როლი კოდექსის მომზადების პროცესში და უმასპინძლა კოდექსის განხილვას პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენელთა და ფრაქციის ლიდერთა მონაწილეობით. პროექტის პირველი ვერსიის მომზადების შემდეგ თქმული საქართველომ დაბეჭდა დოკუმენტის 200 ასლზე მეტი და გაავრცელა ისინი პარლამენტის წევრთა შორის, რათა ხელი შეეწყო მათი კომენტარებისა და მხარდაჭერის მოპოვებისათვის.

2004 წლის 12 ოქტომბერს ეთიკის კოდექსს ხელი მოაწერა პარლამენტის 138-მა წევრმა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ პარლამენტთან თანამშრომლობით მოაწყო ხელმოწერის ცერემონია, რომელსაც დაესწრნენ საჯარო მოხელეები, ქართული და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, უცხოელი დიპლომატები და ჟურნალისტები.



ეთიკის კოდექსის ხელის მოწერის ცერემონიის შემდეგ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე კომენტარს აკეთებს პრესის წარმომადგენლებთან

საზოგადოების ჩართვა საკანონმდებლო პროცესში

განხორციელების პერიოდი:

1 ივნისი, 2004 – 1 დეკემბერი, 2004

დაფინანსების წყარო:

შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტო

პროექტის მოკლე მიმოხილვა:

ხსენებული პროგრამის მიზანი იყო ხელი შეეწყო საქართველოს პარლამენტის წევრთა მიერ კანონპროექტებზე დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებისათვის ექსპერტთა რჩევების მიწოდებითა და საკანონმდებლო პროცესში სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩაბმის გზით. აგრეთვე აღნიშნული პროგრამის მეშვეობით საზოგადოებას მიეცა საშუალება გაცნობოდა და გამოეხატა თავისი აზრი ახალ კანონებზე. საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ აგრეთვე შეიმუშავა სპეციალური სისტემა პარლამენტში ინიცირებული მნიშვნელოვანი კანონების მოსალოდნელი ზეგავლენის შესახებ რჩევების მოძიების, შეგროვებისა და გავრცელებისათვის. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ოფისი პარლამენტში აწარმოებს უწყვეტ ურთიერთობას კანონმდებლებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, დამოუკიდებელ ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან, ინტერესთა ჯგუფებთან და ჩვეულებრივ მოქალაქეებთან როგორც თბილისში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ინფორმაციის მოპოვება ხდება სამ ეტაპად: ა) ქართველი და საერთაშორისო ექსპერტების მოძიება და ინიცირებული კანონ-პროექტის კანონიერების, მოსალოდნელი შედეგების, მსგავს კანონთან მიმართებაში შესაბამისი საერთაშორისო გამოცდილების შესახებ მათი კომენტარებისა და კანონ-პროექტის დახვეწის მიზნით მათი რეკომენდაციების შეგროვება; ბ) თბილისის გარეთ კანონ-პროექტების პარალელური განხილვების მოწყობა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ საზოგადოების ის ფენები და ჯგუფები, რომლებზეც ყველაზე მეტ გავლენას მოახდენს აღნიშნული კანონ-პროექტის მიღება, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი მონაწილეობა; და გ) ფართო საზოგადოებასთან შეხვედრების მოწყობა. ჩამოთვლილი საქმიანობის განხორციელების შემდეგ მზადდება მოკლე ანგარიში, რომელიც აერთიანებს მოქალაქეების, ექსპერტებისა და ინტერესთა ჯგუფების მიერ მოწოდებულ კომენტარებს და ხელმისაწვდომია პარლამენტის წევრებისა და ფართო საზოგადოებისათვის.

საკანონმდებლო პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ჩვეულებრივი მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობად ქცევისათვის ხელშეწყობისა და პარლამენტისათვის ექსპერტული რჩევის წყაროს ფუნქციის შესრულებით „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამჭვირვალობის ხელშეწყობასა და მიღებული კანონების ხარისხის გაუმჯობესებაში.

საზოგადოებისათვის უფასო სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა

განხორციელების პერიოდი:

1 ივნისი, 2004 – 1 მარტი, 2005

დაფინანსების წყარო: ევროპის კომისია

პროექტის მოკლე მიმოხილვა:

ხსენებული პროექტი განხორციელდა სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით იმ მოქალაქეთათვის, რომლებსაც აქვთ უფასო სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის უფლება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ გააცნო მოქალაქეებს თავიანთი უფლება სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებულ სამედიცინო მომსახურებაზე და გაუწია მათ დახმარება აღნიშნული მომსახურების მიღებაში. ამ მიზნით „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ დაბეჭდა და გაავრცელა 90,000 ბროშურა და 5,000 პლაკატი, რომლებიც განმარტავდნენ სამედიცინო დახმარების სახელმწიფო პროგრამების არსს, მომსახურებაზე უფლების მიღების კრიტერიუმებს და მიმართვის პროცედურას. ბროშურები და პლაკატები გავრცელდა თბილისის 160 აფთიაქსა და 40 საავადმყოფოში. აღნიშნული პროექტის ერთ-ერთი ნაწილის სახით „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ აგრეთვე მოაწყო ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს შეეძლოთ მიეღოთ უფრო დეტალური ინფორმაცია უფასო სამედიცინო დახმარების პროგრამების შესახებ, აგრეთვე მიეწოდებინათ ინფორმაცია მომსახურებით სარგებლობის პროცესში წამოჭრილის პრობლემების შესახებ.

უესტმინსტერის სასწავლო პროგრამა**

განხორციელების პროცესი:
19 თებერვალი, 2005 – 27 თებერვალი, 2005

დაფინანსების წყარო: ბრიტანეთის საბჭო და შვედეთის სააგენტო განვითარებისა და თანამშრომლობისათვის

პროექტის მოკლე მიმოხილვა:

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ საპარლამენტო პროგრამის დირექტორი ეწვია ლონდონს, რათა უკეთ გაცნობოდა ბრიტანეთის საპარლამენტო სისტემას და დაემყარებინა საქმიანი ურთიერთობები ბრიტანეთის საკანონმდებლო ორგანოში. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ უფრო დეტალურად გაეცნო ბრიტანეთის საკანონმდებლო სისტემას, მოიპოვა ინსტრუქციები და სასარგებლო მასალები და აგრეთვე შეიძინა საკონტაქტო პირები მომავალი თანამშრომლობისათვის. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ საპარლამენტო პროგრამის დირექტორი დიდ ბრიტანეთში გაეცნო ბევრ საინტერესო და შემოქმედებით პრაქტიკას საზოგადოებასთან ურთიერთობის, ამომრჩეველთან დაკავშირებული საკითხებისა და კომიტეტის მუშაობის შესახებ.

* პროექტი დაფინანსდა 2003 წელს, თუმცა მისი განხორციელება გაგრძელდა 2004 წელს.

** პროექტი დაფინანსდა 2004 წელს, თუმცა იგი განხორციელდა 2005 წელს.

2004 წლის ღონისძიებები

იტალიელი გამომძიებლის დოქტორ ჟერარდო კოლომბოს ვიზიტი საქართველოში

2004 წლის 16-17 სექტემბერს ცნობილი იტალიელი გამომძიებელი დოქტორი ჟერარდო კოლომბო ეწვია საქართველოს, როგორც საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს სტუმარი, რათა რჩევები მიეცა საქართველოს მთავრობისათვის საქართველოში განხორციელებულ ანტი-კორუფციულ საქმიანობასთან დაკავშირებით და დახმარება გაეწია აღნიშნული დანაშაულის ეფექტური გამოძიების ხელშეშლელი ფაქტორების დადგენაში. კოლომბო „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ წარმომადგენლებთან ერთად შეხვდა იუსტიციის მინისტრს, გენერალურ პროკურორს, ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების ხელმძღვანელს, უშიშროების მინისტრის მოადგილეს, კონტროლის პალატის თავმჯდომარეს და ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს. აღნიშნული ვიზიტის განმავლობაში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ შეადგინა რეკომენდაციები იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებზეც უნდა გაკეთდეს აქცენტი საქართველოში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში: საზოგადოების გათვითცნობიერება და მონაწილეობა, მოსამართლეთა და გამომძიებელთა დამოუკიდებლობა, საჯარო სამსახურის რეფორმა, ფინანსური გარიგებები და საჯარო მოხელეთა მონიტორინგი.

კონფერენცია “ახალი ანტი-კორუფციული მთავრობები: განხორციელების პრობლემა”

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა კენიის“ და კენიის მთავრობის მიერ ორგანიზებული კონფერენცია “ახალი ანტი-კორუფციული მთავრობები: განხორციელების პრობლემა” ჩატარდა კენიის ქალაქ ნაირობიში 2004 წლის 12-13 ოქტომბერს. კონფერენცია შედგა ანტი-კორუფციული სტრატეგიის შესახებ ახალ მთავრობებს შორის კონსტრუქციული დიალოგის გამართვის და მათი მცდელობების მხარდასაჭერად ძირითადი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ იმჟამინდელ პრემიერ მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან ერთად მონაწილეობა მიიღო აღნიშნულ კონფერენციაში.

“ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის” მრგვალი მაგიდა

2004 წლის 9 დეკემბერს, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ მოაწყო მრგვალი მაგიდის შეხვედრა თბილისში, რათა განეხილა 2004 წლის 17 ივნისს OECD-ის ანტი-კორუფციულ ქსელის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საქართველოს მიერ შესრულების საკითხი. შეხვედრის

მონაწილეებს შორის იყვნენ: ქართული და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, ჟურნალისტები, საქართველოს უშიშროების საბჭოს ანტი-კორუფციული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გენერალური პროკურატურისა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები და დამოუკიდებელი ექსპერტები. დისკუსია შეეხო OECD-ის ანტიკორუფციულ ქსელის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებში განხილულ ოთხ ძირითად საკითხს: ა) ანტიკორუფციული რეფორმები: გამჭვირვალობა და პროგრესის შეფასება; ბ) საკანონმდებლო ცვლილებები: კორუფციის დანაშაულად გამოცხადება; გ) საჯარო სამსახურის რეფორმა: გამოცდილების საფუძველზე მიღება და დაწინაურება, საჯარო მოხელეთა ეთიკის კოდექსი, და დ) ბიზნეს გარემოს ლიბერალიზაცია: საგადასახადო ნორმები.

თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს პარლამენტსა და „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ შორის

2004 წლის 9 დეკემბერს პარლამენტის საგარეო საქმეთა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტების თავმჯდომარეებმა და „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ ხელი მოაწერეს თანამშრომლობის მემორანდუმს, რომლითაც აღიარეს საერთო ამოცანები დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, კორუფციის კონტროლისა და კორუფციული ქმედებისათვის პასუხისმგებლობის მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობის გზით. მხარეები შეთანხმდნენ ითანამშრომლონ კორუფციის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ხელმოწერის, რატიფიკაციისა და იმპლემენტაციის ხელშეწყობისათვის აუცილებელი სამუშაოების ჩატარებაში.



თანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერა. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი და მარკ მალენი

სამომავლო გეგმები

შემდეგ წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ საქმიანობა განვითარდება შემდეგი მიმართულებებით:

- სექტორული ექსპერტიზა
- საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობა
- რეგიონალური განვითარება

ჩვენი ამოცანების განსახორციელებლად, ჩვენ უკვე ვაფართოვებთ ორგანიზაციას ისეთი პროგრამული საქმიანობის განხორციელების მეშვეობით, რომელიც კონცენტრირდება კონკრეტულ სექტორებზე, აგრეთვე შტატიანი თანამშრომლების დაქირავებით, რომლებიც თვალყურს ადევნებენ აღნიშნულ სექტორებს, და ამ სექტორებისათვის დამატებითი პროგრამების შემუშავებით. აღნიშნული საქმიანობის შედეგად ჩვენ განზრახული გვაქვს მოვაშალოთ კონკრეტული სექტორების ობიექტური ექსპერტული შეფასებები.

რეგიონალური ქსელი ხელს უწყობს თანამშრომლობას საქართველოს მოსახლეობასთან თბილისს გარეთ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ იმოქმედებს, როგორც მოქალაქეებისათვის

სანდო ინფორმაციის დამოუკიდებელი წყარო და აგრეთვე, ერთის მხრივ, მოქალაქეებსა და მეორეს მხრივ, ქვეყნის ხელისუფლებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მექანიზმი. ამ გზით, ჩვენ საშუალება გვქვია ვინააღმდეგობა გავუწიოთ ძალაუფლების ცენტრალიზებას ხელისუფლებაში და მხოლოდ თბილისის ფარგლებში. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ მიზნად ისახავს შექმნას ისეთი მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს ხელისუფლების მიერ საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებას, აგრეთვე გაზარდოს რეგიონის მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის მოცულობა და ხარისხი და უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზრებებისა და შენიშვნების მიწოდება ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის. რეგიონალური ქსელი იქცევა საზოგადოებრივი კამპანიების ჩატარებისა და სამოქალაქო გაერთიანებების ჩამოყალიბების წყაროდ, რაც გადაწყვეტია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ დანიშნულების წარმატებით შესრულებისათვის ქვეყნის მასშტაბით.

ღონოვთა სია ღვიძან ღაარსეპისა

ამერიკის იურისტთა ასოციაცია
ბრიტანეთის საბჭო
ბრიტანეთის მთავრობა
კანადის მთავრობა
ევროპის კომისია
აირის საქართველო
ფონდი “ღია საზოგადოება – საქართველო”
ეუთოს მისია საქართველოში
ეუთოს ვენის ოფისი
ღია საზოგადოების ინსტიტუტი ბუდაპეშტი
შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო
TI საერთაშორისო ოფისი

გამგეობის ვებრთა ღა თანამშრომელთა სია

სამმთავალყურმო საბჭო

მარკ მალენი, თავმჯდომარე
ჯაბა ებანოძე, მდივანი
ნიკა ღვინაძე, წვერი
ლევან რამიშვილი, წვერი
ღავით კიკალიშვილი, წვერი

აღმასრულებელი (2005 წლის მაისის მონაცემებით)

თამუნა ქაროსანიძე, პროგრამის ღირექტორი
tamuna@transparency.ge

ნინა ხატისკაცი,
საპარლამენტო პროგრამის ღირექტორი
nina@transparency.ge

ეკა ღურგლიშვილი, ფინანსური ღირექტორი
eka@transparency.ge

სელინ სენსენი, პროგრამის მენეჯერი
celine@transparency.ge

ანი ახალკაცი, საზოგადოებასთან ურთიერთობის
თანამემწე

ani@transparency.ge

გვანცა ბაქრაძე,
საპარლამენტო პროგრამის თანამემწე
gvantsa@transparency.ge

ირაკლი ფიფია, აღმასრულებელი თანამემწე
irakli@transparency.ge

ლინა ჩახაია, ოფისის თანამემწე
lina@transparency.ge

2004 წლის ფინანსური ანგარიში

ღონორები

მონაცემები მოყვანილია ქართულ ლარში
 1 აშშ დოლარი = 1.83 ლარი; 1 ევრო = 2.4 ლარი

ეუთო

საპარლამენტო ეთიკის კოდექსი	23,435
OECD-ის მრგვალი მაგიდა	3,128
საქართველოს პოლიციის	
საარჩევნო განათლება	72,364
აჭარის პოლიციის საარჩევნო	
განათლება	12,980
სულ	111,907

შვიდგარის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტო

საზოგადოების ჩართვა საკანონმდებლო პროცესში	92, 381
სულ	92,381

ევროკომისია

საზოგადოებისათვის უფასო სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა (ძოლიანი დაფინანსების 85.5%)	44,439
სულ	44,439

ფონდი "ღია საზოგადოება – საქართველო"

ინსტიტუციური მხარდაჭერა საზოგადოებისათვის უფასო სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა (ძოლიანი დაფინანსების 85.5%)	13,438
სულ	7,543
სულ	20,981

სულ შემოსავალი 269,708

შემოსავალი

